ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება № 4

2025 წლის 17 იანვარი

ქალაქი ახალციხე

„ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხისა და ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების განსაზღვრის შესახებ" ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 24 დეკემბრის N3 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტისა და „საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე" (დოკუმენტის ნომერი 165-Iმს-XIმპ, ვებგვერდი 29/12/2024, სარეგისტრაციო კოდი 010320000.05.001.102434) საქართველოს კანონის შესაბამისად, ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს,

მუხლი 1

შევიდეს შემდეგი ცვლილება ,,ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხისა და ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების განსაზღვრის შესახებ" ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 24 დეკემბრის №3 დადგენილებაში (ვებგვერდი www.matsne.gov.ge, 28/12/2021, სარეგისტრაციო კოდი: 010260050.35.138.016443):

1. დადგენილებით დამტკიცებული დანართი 1 ჩამოყალიბდეს თანდართული დანართი 1-ის სახით.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე, მისი მოქმედება გავრცელდეს 2025 წლის 1 იანვრიდან წარმოშობილ ურთიერთობებზე.

საკრებულოს თავმჯდომარე დავით ლომიძე

დანართი 1

ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის და ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა საშტატო ნუსხა და თანამდებობრივი სარგოები

№	თანამდებობის დასახელება	საშტატო რიცხოვნება	თანამდებობრივი სარგო
საკრებულოს თანამდებობის პირები			
1.	პოლიტიკური თანამდებობის პირი - საკრებულოს თავმჯდომარე	1	5986
2.	პოლიტიკური თანამდებობის პირი - საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე	1	4526
3.	პოლიტიკური თანამდებობის პირი - საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე	2	3942
4.	პოლიტიკური თანამდებობის პირი - საკრებულოს კომისიის თავმჯდომარე	5	3212
5.	პოლიტიკური თანამდებობის პირი - საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარე	3	2920
6.	პოლიტიკური თანამდებობის პირი - საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	10	2336
საკრებულოს აპარატი			
7.	პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებული პირი- საკრებულოს აპარატის უფროსი	1	3358
იურიდიული განყოფილება			
8.	II რანგი მეორადი სტრუქტურული ერთეულის იურიდიული განყოფილების ხელმძღვანელი	1	2628
9.	III რანგი - პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი - იურიდიულ საკითხებში	1	1898
საორგანიზაციო განყოფილება			

10.	II რანგი მეორადი სტრუქტურული ერთეულის საორგანიზაციო განყოფილების ხელმძღვანელი	1	2628
11.	III რანგი - პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი - საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში	1	1898
12.	III რანგი - პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი - საორგანიზაციო საკითხებში	2	1898
13.	III რანგი - პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი - საქმისწარმოების და ადამიანური რესურსების მართვის საკითხებში	1	1898
14.	III რანგი - პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი - წერილებისა და კადრების საკითხებში	1	1898
	სამეურნეო განყოფილება		
15.	II რანგი მეორადი სტრუქტურული ერთეულის სამეურნეო განყოფილების ხელმძღვანელი	1	2628
16.	III რანგი - პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი - სამეურნეო საკითხებში	1	1898